

საქართველოს პარლამენტის

განცხადება

მეექვსე წელია საქართველოს ხელისუფლებისა და მსოფლიო თანამეგობრობის ძალისხმევა აფხაზეთში კონფლიქტის პოლიტიკური დარეგულირებისათვის რეალურ შედეგს არ იძლევა.

ასეთ ვითარებაში სეპარატისტულ რეჟიმს ექმნება არა მარტო დაუსჯელი მოქმედების საშუალება, არამედ მსოფლიო საზოგადოების მორიგი შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობაც, რაც გამოიხატა სოხუმის ხელისუფლების მიერ მიმდინარე წლის 1 მარტიდან გალის რაიონში დევნილთა დაბრუნების თაობაზე ცალმხრივი განცხადების დეკლარირებაში.

სპეკულირებს რა დევნილთა რეალურად არსებული უმძიმესი სოციალურ–ეკონომიკური მდგომარეობით, სეპარატისტული რეჟიმი ცდილობს მის სასარგებლოდ გამოიყენოს მათი გაუსაძლისი ყოფა, ყოველგვარი დამცავი უსაფრთხოების მექანიზმების გარეშე შემოიტყუოს ისინი რაიონში, როგორც დაქირავებული სანუშაო ძალა და მოახდინოს საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე თავისი, ვითომც კეთილი ნების დემონტირება.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ ამ თითქოსდა ჰუმანური აქციით სეპარატისტული რეჟიმი ცდილობს სახელი გაუტეხოს საქართველოს ხელისუფლებას, გათიშოს დევნილთა რიგები და რაც მთავარია, იურიდიულადაც თავი დააღწიოს დსთ–ს სახელმწიფო მეთაურთა გადაწყვეტილებით განსაზღვრულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ იზოლაციას, მიიღიოს დევნილთა გალის რაიონში დაბრუნების კვალობაზე დასავლეთის ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ რეგიონის სოციალურ–ეკონომიკური რეაბილიტაციისათვის გამოყოფილი დიდძალი თანხები, გამოიყენოს ისინი თავისი განწირული არსებობის გასახანგრძლივებლად.

საქართველოს პარლამენტს გაცნობიერებული აქვს ისიც, რომ კონფლიქტის მოწესრიგების გაჭიანურებით ქანცაწყვეტილი, უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი დევნილთა გარკვეული ნაწილი საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად სისტემატურად გადადის გალის რაიონში, რასაც აფხაზური მხარე უთუოდ გამოიყენებს ეგრეთ წოდებული ცალმხრივი ინიციატივის მხარდასაჭერად პროპაგანდისტული შოუსათვის.

საქართველოს პარლამენტი იმედოვნებს, რომ დევნილთა ძირითადი ნაწილი კონფლიქტის გარშემო მიმდინარე მოვლენების რეალური ანალიზის შედეგად გაკეთებული დასკვნის საფუძველზე არ აპყვება სეპარატისტული რეჟიმის ჰუმანიტარული ღონისძიების საფარქვეშ შენიღბულ მორიგ პოლიტიკურ ავანტიურას, მით უფრო რომ გალის რაიონში მრავალჯერ განხორციელებული სადამსჯელო ოპერაციები, 1998 წლის 20–26 მაისისა და შემდგომი მოვლენები ასეთი დასკვნის საშუალებას იძლევა.

ამასთან ერთად, საქართველოს პარლამენტი კვლავ აფიქსირებს, რომ ქართული და აფხაზური მხარეების პრინციპული შეთანხმების გარეშე დევნილთა დაბრუნების პრობლემის გადაწყვეტა შეუძლებელია, თუმცა საქართველოს ხელისუფლება ვერ მოიხსნის პასუხისმგებლობას იმ პირთა დაცვისათვის, რომლებიც ამჟამად ცხოვრობენ აფხაზეთში და იმათ მიმართაც, ვინც გაუსაძლისი მდგომარეობის გამო უსაფრთხოების მტკიცე საერთაშორისო გარანტიების გარეშე დაბრუნდება მშობლიურ ადგილებში.

საქართველოს პარლამენტი

1999 წლის 2 თებერვალი.